პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ დებულება

პრეამბულა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი“ არის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ორენოვანი, საერთაშორისო რეფერირებისა და რეცენზიების სამეცნიერო პერიოდული გამოცემა. მისი დაარსება „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ (GDPR) ამოქმედების მეოთხე საიუბილეო თარიღს უკავშირდება.

ჟურნალის ძირითადი ორიენტირი საჯარო სამართლის დარგობრივი მიმართულებით შედარებითსამართლებრივი დისკურსის წარმართვა და მკვლევართა სამეცნიერო პლატფორმის ჩამოყალიბებაა. ჟურნალში ქვეყნდება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა, განსაკუთრებით კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის დარგში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები. მისი მიზანია აქტუალურ საკითხთა სამართლებრივი ანალიზი, საუკეთესო პრაქტიკის წარმოჩენა და საზოგადოების მართლშეგნების ამაღლება. ჟურნალის მისიაა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ევროპულ სამართალთან, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა და დარგობრივი კვლევის შედეგების გაზიარება აკადემიური წრის, პრაქტიკოსი იურისტებისა და ზოგადად, მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების თემატიკით დაინტერესებული პირებისთვის. ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერების მიზნით, ჟურნალის თითოეული გამოცემა აერთიანებს ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაშრომებს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. ჟურნალი გამოიცემა მატერიალური და ელექტრონული ფორმით და დაინტერესებული პირებისთვის იგი ხელმისაწვდომია საჯაროდ.

სარედაქციო კოლეგია წარმოადგენს ჟურნალის კოლეგიურ ორგანოს, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ასევე, ჟურნალის დარგობრივ სფეროში სამართლის პრაქტიკის კვალიფიციური წარმომადგენლების მიერ. ჟურნალის რედაქციის მიერ საგამომცემლო გადაწყვეტილება მიიღება სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, აგრეთვე ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკის, აკადემიური და ეთიკის სტანდარტების შესაბამისად.

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ჟურნალის სტატუსი

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი“ (შემდგომში - „ჟურნალი“) არის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის“ (შემდგომში - „სამსახური“) ოფიციალური, ქართულ და ინგლისურენოვანი, საერთაშორისო, სამეცნიერო პერიოდული გამოცემა.

2. ჟურნალი გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე, ბეჭდური და ელექტრონული ფორმით. მისი იდენტიფიცირება ხდება საერთაშორისო უნიკალური კოდით როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური გამოცემებისათვის.

3. ჟურნალის ყველა ელექტრონული გამოცემა ხელმისაწვდომია ღიად ჟურნალის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ვებგვერდზე რეგისტრაციის გარეშე, უსასყიდლოდ გაეცნოს და მოახდინოს სათანადო სამეცნიერო ციტირება საავტორო უფლებების დაცვით.

მუხლი 2. ჟურნალის მისია და მიზანი

1. ჟურნალის მისიაა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ევროპულ სამართალთან, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა და საჯარო სამართლის დარგობრივი მიმართულებით შესრულებული კვლევის შედეგების გაზიარება აკადემიური წრის, პრაქტიკოსი იურისტებისა და ზოგადად, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების თემატიკით დაინტერესებული პირებისთვის.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის დარგობრივი მიმართულებით შედარებითსამართლებრივი დისკურსის წარმართვის, მკვლევართა სამეცნიერო პლატფორმის ჩამოყალიბების, აქტუალურ საკითხთა ანალიზისა და საუკეთესო პრაქტიკის წარმოჩენის გზით, ჟურნალის გამოცემა საზოგადოებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის დამკვიდრებასა და ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

3 . ჟურნალის მიზანია სამეცნიერო ღირებულების მქონე შრომების გამოქვეყნება და მსოფლიოს ცნობილ სამეცნიერო ბაზებში ინდექსირება.

თავი II. ჟურნალის რედაქცია და მართვა

მუხლი 3. ჟურნალის რედაქცია

1. ჟურნალის სამეცნიერო სტატუსის ამაღლების, მისი საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სამეცნიერო ბაზებში

ინდექსირებისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ჟურნალს ჰყავს რედაქცია, რომელიც ახორციელებს ჟურნალის საგამომცემლო საქმიანობის მართვას.

2. ჟურნალის რედაქციის შემადგენლობაში შედის:

ა) მთავარი რედაქტორი;
ბ) მმართველი რედაქტორი;
გ) აღმასრულებელი რედაქტორი;
დ) სარედაქციო კოლეგია;
ე) ტექნიკური რედაქტორი.

მუხლი 4. მთავარი რედაქტორი

მთავარი რედაქტორი, რომელსაც აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი, საერთაშორისო დონეზე შესაბამისი აკადემიური დამსახურება, სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინებით სათანადო აღიარება და ჟურნალის მართვის გამოცდილება, უფლებამოსილია:

ა) გაუწიოს ჟურნალს ხელმძღვანელობა და წარმართოს მისი საგამომცემლო განვითარების პოლიტიკა;
ბ) უხელმძღვანელოს ჟურნალის რედაქციას: მმართველ რედაქტორს, აღმასრულებელ რედაქტორს, სარედაქციო კოლეგიასა და ტექნიკურ რედაქტორს;
გ) დაადგინოს სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა და მოიწვიოს კოლეგიის სხდომებს;
დ) განსაზღვროს ჟურნალში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და გამოქვეყნების წინაპირობები;
ე) რეცენზიული შეფასებების საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ნაშრომის ჟურნალში გამოქვეყნების თაობაზე;
ვ) საჭიროებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება საავტორო ჰონორარის გაცემის თაობაზე;
ზ) განახორციელოს ჟურნალის წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში;
თ) განახორციელოს ჟურნალის სხვა მმართველობითი ფუნქციები.

მუხლი 5. მმართველი რედაქტორი

ჟურნალს შესაძლებელია, ჰყავდეს მმართველი რედაქტორი, რომელსაც აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო საქმიანობის შესაბამისი გამოცდილება, პასუხისმგებელია:

ა) ჟურნალის სამეცნიერო ხარისხსა და მის შემდგომ განვითარებაზე;
ბ) ჟურნალის დარგობრივი მიმართულებით მკვლევართა მოზიდვასა და მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე შრომების გამოქვეყნების ხელშეწყობაზე;
გ) რეცენზენტების შერჩევაზე;
დ) რეცენზენტების დასკვნების საფუძველზე, მთავარი რედაქტორისთვის ნაშრომთა გამოქვეყნების საკითხის შეფასების მიზნით წარდგინების მომზადებაზე;
ე) ნაშრომში ავტორთა მიერ რეცენზენტების რეკომენდაციის გათვალისწინების ხარისხის შეფასებაზე;
ვ) მთავარი რედაქტორის დავალებით სხვა სარედაქციო უფლებამოსილების შესრულებაზე.

მუხლი 6. აღმასრულებელი რედაქტორი

აღმასრულებელი რედაქტორი, რომელსაც აქვს სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება, პასუხისმგებელია:

ა) ჟურნალის სამეცნიერო ხარისხსა და მის შემდგომ განვითარებაზე;
ბ) მთავარი რედაქტორის გადაწყვეტილებების აღსრულებაზე;
გ) ჟურნალის დადგენილ ვადებში პერიოდული გამოცემის ოპერატიულ წარმართვაზე;
დ) რეცენზენტების დასკვნების საფუძველზე, ავტორებთან კომუნიკაციასა და რედაქციული შენიშვნების გასწორების კოორდინაციაზე;
ე) საჭიროებისამებრ, გამოსაქვეყნებელი ნაშრომების ტექნიკურ რედაქტირებაზე;
ვ) მთავარი რედაქტორის დავალებით სხვა სარედაქციო უფლებამოსილების შესრულებაზე.

მუხლი 7. სარედაქციო კოლეგია

1.ჟურნალს ჰყავს საერთაშორისო სარედაქციო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში არიან ევროპის მოწინავე უნივერსიტეტების პროფესორები, საჯარო სამართლის მეცნიერ-მკვლევარები ჟურნალის დარგობრივი მიმართულების განვითარებაში მათ მიერ განხორციელებული წვლილის გათვალისწინებით.

2.სარედაქციო კოლეგიის სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს, ასევე, მისი, როგორც კოლეგიური ორგანოს, გადაწყვეტილებების მიღების წესს განსაზღვრავს მთავარი რედაქტორი.

3. სარედაქციო კოლეგია:
ა) ხელს უწყობს საერთაშორისო საგამომცემლო სტანდარტებთან ჟურნალის საგამომცემლო პოლიტიკის თანმიმდევრულ ჰარმონიზებას;

ბ) მსჯელობს და რეკომენდაციას გასცემს ჟურნალის სამომავლო განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე;
გ) ხელს უწყობს ჟურნალის საერთაშორისო ცნობადობის ზრდასა და პოპულარიზაციას;
დ) ხელს უწყობს ცნობილი მკვლევარების პუბლიკაციების გამოქვეყნების პროცესს.

მუხლი 8. ტექნიკური რედაქტორი

ტექნიკურ-საგამომცემლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ჟურნალის საგამომცემლო საქმიანობაში მონაწილეობს დამხმარე სარედაქციო პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს გამოსაქვეყნებლად წარდგენილი სამეცნიერო შრომის ტექნიკურ რედაქტირებასა და ენობრივ კორექტირებას, გამოსაქვეყნებელი გამოცემის დაკაბადონებას, გამოცემის ინგლისურენოვანი ვერსიის მომზადებას, ჟურნალის ოფიციალური ვებ გვერდის მართვას.

თავი III. ნაშრომის გამოქვეყნება

მუხლი 9. გამოსაქვეყნებელი ნაშრომების სახეები

ჟურნალში შესაძლებელია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა, განსაკუთრებით კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის დარგში შესრულებული შემდეგ სამეცნიერო ნაშრომთა პუბლიკაცია:
ა) სამეცნიერო სტატია;
ბ) აკადემიურ მიმოხილვას (რეცენზია);
გ) სამართლის პრაქტიკის ანალიზი;
დ) უცხოენოვანი სამეცნიერო ნაშრომის თარგმანი.

მუხლი 10. გამოსაქვეყნებელი ნაშრომის მიღების წესი

1. ჟურნალში სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება შესაძლებელია:
   ა) კონკურსის წესით, ავტორის პირადი განცხადების საფუძველზე;
   ბ) ჟურნალის რედაქციის მოწვევისა და რეკომენდაციის საფუძველზე.

2. გამოსაქვეყნებლად ნაშრომების მიღების თაობაზე კონკურსი ცხადდება საჯაროდ, სამსახურისა და ჟურნალის ოფიციალური ვებ გვერდის მეშვეობით. კონკურსის შესახებ ინფორმაციის ფართო დისემინაციის მიზნით, შესაძლებელია ინფორმაციის გავრცელება ჟურნალის ინსტიტუციური ელ. ფოსტიდან.

მუხლი 11. სამეცნიერო ნაშრომთა გამოქვეყნებაზე უფლებამოსილი პირი

1. სამეცნიერო ნაშრომთა გამოქვეყნების უფლებით სარგებლობენ:

   ა) საქართველოსა და საზღვარგარეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორები, მკვლევრები, დოქტორანტები, მაგისტრები;
   ბ) ჟურნალის დარგობრივი სფეროს პრაქტიკოსი იურისტები;
   გ) ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მიერ მოწვეული ავტორები.

2. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად ნაშრომის წარდგენა შესაძლებელია მისი პირველადი პუბლიკაციის მიზნით. დაუშვებელია გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის ჟურნალში ხელმეორედ პუბლიკაცია.

3. გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ნაშრომი:

   ა) უნდა ეფუძნებოდეს ავთენტურ კვლევას, რომელიც შესრულებულია შესაბამისი სამეცნიერო ღირებულების მქონე წყაროებზე დაყრდნობით;
   ბ) უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალის საგამომცემლო პოლიტიკას და აკადემიურ სტანდარტს;
   გ) უნდა იქნეს შესრულებული აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით;
   დ) არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ ტექსტს, სიძულვილის ენას, არაეთიკურ შეფასებებსა და შეურაცხყოფელ/დამაკნინებელ მოსაზრებებს, პიროვნულ კრიტიკას;
   ე) უნდა ჩამოყალიბდეს მესამე პირთა პერსონალური მონაცემთა დაცვით.

4. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი შრომა შესაძლებელია, შესრულებული იყოს როგორც ერთი პირის ავტორობით, ისე რამდენიმე პირის თანაავტორობით. ავტორმა სამეცნიერო ნაშრომი გამოსაქვეყნებლად უნდა წარადგინოს ელექტრონული ფორმით, ჟურნალის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე (journal@pdps.ge) გაგზავნით და შემდეგი დოკუმენტაციის დართვით:

   ა) შევსებული განცხადება ჟურნალის მთავარი რედაქტორის სახელზე *(დანართი № 1)*;
   ბ) სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც მოიცავს ანოტაციასა და საკვანძო სიტყვებს (ჯამში არაუმეტეს 250 სიტყვა), ნაშრომის სრული ტექსტი (არაუმეტეს 20 გვერდისა), ბიბლიოგრაფია;
   გ) დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე ავტორების შემთხვევაში — სამეცნიერო ხელმძღვანელის ან ნაშრომის საკვლევი თემატიკის სფეროს წარმომადგენელი სამართლის სპეციალისტის დადებითი რეცენზია;
   დ) გამოსაქვეყნებლად წარდგენილ ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა უნდა იყოს მითითებული აკადემიური კეთილსინდისიერების, ასევე,

ჟურნალის აკადემიური ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის სახელმძღვანელო სტანდარტის დაცვით *(დანართი № 2).*

5. ნაშრომის გამოსაქვეყნებლად გაგზავნით, ავტორი ადასტურებს, რომ იგი გაეცნო და ეთანხმება ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკას და აკადემიური წერის სტანდარტებს.

6. ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად წარდგენილი ნაშრომის გამოქვეყნების საკითხი არ განიხილება.

მუხლი 12. ნაშრომის რეცენზირების პროცესი და გამოსაქვეყნებლად შერჩევა

1. პირველადი დასაშვებობის ეტაპზე, გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ნაშრომი ფასდება ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკისა და აკადემიურ სტანდარტებთან მიმართებით, რის შემდგომ, ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე.

2. პლაგიატზე შემოწმების შემდგომ, ნაშრომი ეგზავნება ორ რეცენზენტს, ორმხრივად ფარული რეცენზირების (“*double peer-review*”) მიზნით. რეცენზირების ანონიმურობა უზრუნველყოფილია როგორც ნაშრომის შეფასების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, ისე მისი დასრულებისა და ჟურნალში გამოქვეყნების შემდეგ. ნაშრომი ფასდება ჟურნალის რედაქციის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სპეციალური სარეცენზიო ფორმის საშუალებით *(დანართი № 3).*

3. რეცენზენტი შეირჩევა დარგობრივი კომპეტენციისა და მისი გამოცდილების/კვალიფიკაციის მიხედვით. სასურველია, რეცენზირების პროცესში დარგის უცხოელი ექსპერტის მონაწილეობა.

4. შეფასებისა და სარეცენზიო დასკვნის შემუშავების პროცესში რეცენზენტი მოქმედებს დამოუკიდებლობის, კეთილსინდისიერების, ობიექტურობის სტანდარტითა და შეფასების წინამდებარე წესების დაცვით. ნაშრომის შეფასების შედეგად, რეცენზენტის მიერ შეიძლება გაიცეს გარკვეული ტექნიკური მითითებები და ერთ-ერთი წინამდებარე რეკომენდაცია:

   ა) ნაშრომი შესაძლებელია გამოქვეყნდეს (დადებითი რეცენზია);
   ბ) ნაშრომი გამოქვეყნებამდე საჭიროებს არსებით შინაარსობრივ-ტექნიკურ რედაქტირებას (დადებითი რეცენზია);
   გ) ნაშრომი არ უნდა გამოქვეყნდეს (უარყოფითი რეცენზია).

5. თუკი რეცენზიული შეფასების თანახმად, ნაშრომი გამოქვეყნებამდე საჭიროებს არსებით შინაარსობრივ-ტექნიკურ რედაქტირებას, ავტორი ვალდებულია გაითვალისწინოს რეკომენდაცია. გაცემული რეკომენდაციის შესრულების ხარისხის შეფასების საფუძველზე, ნაშრომის გამოქვეყნებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ჟურნალის მთავარი რედაქტორი.

6. სტატიის რეცენზირება წარმატებით დასრულებულად მიიჩნევა, თუკი ორივე რეცენზენტი გასცემს დადებით რეცენზიას. თუკი ერთი რეცენზენტის შეფასება უარყოფითია, შეფასება ეგზავნება ავტორს რეცენზიული შენიშვნების გათვალისწინებისა და ნაშრომის შემდგომი კორექტირების მიზნით. ნაშრომის გამოქვეყნებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ჟურნალის მთავარი რედაქტორი.

მუხლი 13. ნაშრომის გამოქვეყნება

1. გადაწყვეტილება ნაშრომის ჟურნალში გამოქვეყნებაზე ავტორს ეცნობება წერილობითი ფორმით, ჟურნალის ოფიციალური ელექტრონული მისამართის მეშვეობით.

2. ჟურნალი ნაშრომზე იძენს საავტორო უფლებებს საგამომცემლო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნითა და ფარგლებით. ავტორი ინარჩუნებს ნაშრომზე არაქონებრივ საავტორო უფლებებს.

3. ნაშრომი შესაძლებელია გამოქვეყნდეს ანონიმურად, ავტორის პერსონალური მონაცემის მითითების გარეშე.

4. ნაშრომის ჟურნალში გამოქვეყნებამდე გონივრულ ვადაში, ავტორს უფლება აქვს ჟურნალის რედაქციისადმი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, გამოიხმოს ნაშრომი და უარი განაცხადოს ჟურნალში პუბლიკაციაზე.

5. მესამე პირის მიერ საავტორო უფლებების შესახებ დავის შემთხვევაში, პასუხისმგებელია ავტორი.

თავი IV. საგამომცემლო საქმიანობისა და ეთიკის პრინციპები

მუხლი 14. მოქმედების ფარგლები

1. ეთიკის წინამდებარე პრინციპები განისაზღვრება ჟურნალის საგამომცემლო საქმიანობის აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით წარმართვის, არაეთიკური ქცევის პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით.

2. ეთიკის წინამდებარე პრინციპები მოქმედებს ჟურნალის საგამომცემლო პროცესში მონაწილე ყველა პირის მიმართ.

მუხლი 15. საგამომცემლო საქმიანობის პრინციპები

1. საგამომცემლო საქმიანობა წარიმართება დამოუკიდებლობის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, მიუკერძოებლობის, ინტერესთა

კონფლიქტის აკრძალვის, კონფიდენციალობის, აკადემიური თავისუფლებისა და კომპეტენტურობის პრინციპთა დაცვით.

2. ინტერსთა კონფლიქტი საგამომცემლო საქმიანობაში ჩართული პირის მხრიდან უნდა გაცხადდეს გონივრულ ვადაში, ინტერსთა კონფლიქტის გამოვლენისთანავე. გაცხადებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, საგამომცემლო პროცესი წარიმართება აღნიშნული პირის მონაწილეობის გარეშე.

3. საგამომცემლო პროცესში მონაწილე პირი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნოს საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

4. საგამომცემლო პროცესში მონაწილე პირის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს ჟურნალის რედაქციის გონივრულ ვადაში ინფორმირება წერილობითი ფორმის დაცვით.

მუხლი 16. აკადემიური თავისუფლების ფარგლები

1. ავტორი უფლებამოსილია იმოქმედოს აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტისა და ეთიკის წინამდებარე პრინციპების დაცვით.

2. გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ნაშრომი არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ ტექსტს, სიძულვილის ენას, არაეთიკურ შეფასებებსა და შეურაცხყოფელ/დამაკნინებელ მოსაზრებებს, პიროვნულ კრიტიკას.

3. ნაშრომის შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს მესამე პირთა პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემითა და პერსონალური მონაცემის დაცვით.

მუხლი 17. აკადემიური კეთილსინდისიერება

1. ნაშრომის ჟურნალში გამოსაქვეყნებლად წარდგენით, ავტორი ადასტურებს ნაშრომის აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით შესრულებას და მასში გამოყენებული ავთენტური სამეცნიერო წყაროების სათანადოდ აღნიშვნას.

2. შესაბამისი ციტირებისა და აღნიშვნის გარეშე მესამე პირთა კვლევის/პუბლიკაციის/შრომის გამოყენების ანდა მითვისების, ასევე, ნაშრომის გამოქვეყნების შემდგომ, მცდარი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება ავტორს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 18. ჟურნალის დებულების იურიდიული ძალა

1. ჟურნალის დებულება ძალაში შედის მისი დამტკიცებისთანავე.

2. ჟურნალის დებულებაში ცვლილება-დამატება ხორციელდება ჟურნალის მთავარი რედაქტორის გადაწყვეტილებით.